საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი



გ. დავითაშვილი

# მოდი, გოგოვ

თბილისი

1962

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდი გოგოვ

/ქალთა ვოკალური კვარტეტისათვის ფ-ნოს თანხლებით/

ტექსტი. გ გრიგოლიშვილის — მუსიკა. მ დავითაშვილის

ზომიერად




FM 129
3




ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ი123/852



FM 129 2



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასოდ

# მოდი, გოგოვ

რა ხანია კაკლის ხის ქვეშ
ჩრდილი არის საამო, —
გელოდება დობილები,
დადგა უკვე საღამო.

მოდი, გოგო, მოდი, მოდი,
მზე ჩავიდა, დაბინდდა, —
საცეკვაოდ გელოდებით —
შენ კი სახლში რა გინდა!

---

იცი, ბიჭი ჩვენთან არის,
გუშინ რომ გაგაცილა.
მოდი, გოგო, ტაშ-ფანდურა
გაჩერდა და გაცივდა.

შენ მანდა ხარ, აქ კი იმან
მოიწყინა ძალიან, —
არც ცეკვავს და აღარც მღერის
ჩვენთვის აღარ სცალია.

---

ბიჭია და ხომ ვერ იტყვის
სევდამ ვით დაარწია,
იქნებ, გოგოვ, შენ იცოდე —
გული რატომ დაწვია.

მოდი, გოგო, მოდი, მოდი,
ნეტავ სახლში რა გინდა,
მოდი, გოგო, თორემ ეს დღეც
როგორც ჩიტი გაფრინდა!

---

მუს. რედ. გ. ციციშვილი. ლიტ. რედ. ე. დიდიმამიშვილი.

შეკვეთა № 2547. ფოტოცინკოგრაფია. ტირაჟი 500.

FM 129
2